

სავალუტო სისტემა და სავალუტო ვაჭრობა საქართველოში

ნინო ქავთარაძე
ბიზნესის ადმინისტრირების
აკადემიური დოქტორი,
სტუ პროფესორი
maiaqavtaradze5@gmail.com

რეზიუმე

განხილულია საქართველოს სავალუტო სისტემის ჩამოყალიბების ეტაპები, რომელიც სათავეს ჯერ კიდევ საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, ქვეყნის დამოუკიდებელ სახელმწიფოდ გამოცხადების პერიოდში იღებს. აღნიშნულია საქართველოს ეროვნული ბანკის როლი და ხელისუფლების მიერ შემოღებული ქართული ვალუტის მნიშვნელობა. ასევე, სავალუტო ბაზრის, როგორც ფინანსური ბაზრის შემადგენელი ნაწილის როლი, სავალუტო ვაჭრობის და გარიგებების დადების დროს. წარმოდგენილია FOREX (Foreign Exchange Market), როგორც დღესდღეობით საერთაშორისო სავალუტო ვაჭრობაში ყველაზე მასშტაბური სტატუსის მქონე სავალუტო ბაზრი.

საკვანძო სიტყვები: ვალუტა, ვალუტის გაცვლითი კურსი, სავალუტო ბაზარი, ბანკთაშორის სავალუტო ბირჟა, სავალუტო ვაჭრობა, FOREX ბაზარი.

შესავალი

საქართველოს სავალუტო სისტემის ჩამოყალიბება საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ დაიწყო, როდესაც ქვეყანა დამოუკიდებელ სახელმწიფოდ გამოცხადდა, შეიქმნა საქართველოს ეროვნული ბანკი და ხელისუფლებამ შემოიღო ქართული ვალუტა.

სავალუტო ბაზარი წარმოადგენს ფინანსური ბაზრის შემადგენელ ნაწილს, სადაც ადგილი აქვს სავალუტო ვაჭრობას და გარიგებების დადებას. როგორც ცნობილია, დღესდღეობით

საერთაშორისო სავალუტო ვაჭრობაში, მსოფლიო ბაზრის 90% უჭირავს FOREX (Foreign Exchange Market), რაც მას ყველაზე მასშტაბური სავალუტო ბაზრის სტატუსს ანიჭებს. ფორექსი ვალუტით მოვაჭრეებს ტრადიციულ ფორმებთან ერთად, სთავაზობს ვაჭრობის ყველაზე თანამედროვე და კომფორტულ ფორმას – ე.წ. ონლაინ ვაჭრობას. შეიძლება ითქვას, რომ არსებული ვალუტების კურსები მნიშვნელოვანწილად, სწორედ FOREX ბაზარზე მიმდინარე პროცესების პირდაპირპროპორციულია.

ძირითადი ნაწილი

საქართველოს სავალუტო სისტემის ჩამოყალიბებამ სათავე 1991 წლიდან დაიწყო, როცა საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ საქართველო დამოუკიდებელ სახელმწიფოდ გამოცხადდა და შეიქმნა საქართველოს ეროვნული ბანკი. საქართველოს ხელისუფლებამ შემოიღო ქართული ვალუტა კუპონი (1993 წლის 5 აპრილიდან 1995 2 ოქტომბრამდე) რომელმაც განიცადა კრახი – ჰიპერინფლაცია (674% 1995 წელი), რის გამოც მოხდა მისი ნულიფიკაცია და 1995 წლიდან ახალი ვალუტით – ლარით ჩანაცვლება.

საქართველოში მოქმედი ფიქსირებული გაცვლითი კურსის გამო, ლარი აშშ დოლარზე იყო მიბმული 1997 წლამდე. ქვეყანაში არსებული მაღალი ინფლაციის პირობებში, რაც ქვეყნის შიგნით მიმდინარე მოვლენებით იყო გამოწვეული, ისედაც შესუსტებული იყო ეროვნული ვალუტისადმი ნდობა და გაცვლითი კურსის მიბმა უზრუნველყოფდა კურსის სტაბილურობის შენარჩუნებას და ნდობის აღდგენას.

1997 წლიდან საქართველოში ამოქმედდა მართვადი მცურავი გაცვლითი კურსის რეჟიმი, რომლის პირობებში გაცვლითი კურსის განსაზღვრა ხდება საბაზრო ძალების მიხედვით - მოთხოვნა-მიწოდების ურთიერთქმედებით. აღნიშნულ გადაწყვეტილებას საფუძვლად ედო როგორც თეორიული მოსაზრებები, ასევე სხვა ქვეყნების გამოცდილება, რომელმაც აჩვენა რომ ჩვენი ქვეყნის მსგავსი წყობისთვის მცურავ გაცვლითი კურსის რეჟიმს უფრო მეტი უპირატესობა გააჩნია ვიდრე ფიქ-

სირებულ რეჟიმს. ყოველივე ამ მოსაზრებებიდან და საერთაშორისო პარტნიორი ორგანიზაციების რჩევებიდან გამომდინარე მოხდა მცურავ სავალუტო რეჟიმზე გადასვლა.

საქართველოში შიდა სავალუტო ბაზრის განვითარება ჩქარი ტემპებით წარიმართა. შიდა სავალუტო აგენტებად საქართველოში უნდა განვიხილოთ ეროვნული ბანკი, კომერციული ბანკები და ვალუტის გადამცვლელი ჯიხურები.

საქართველოში უცხოური ვალუტის ყიდვა-გაყიდვის ოპერაციებში არ მონაწილეობენ სპეციალიზირებული საბანკო დაწესებულებები, ამიტომ ქვეყნის შიდა სავალუტო ბაზარი სტრუქტურული პოზიციებიდან უნდა ჩაითვალოს ნაკლებად დივერსიფიცირებულ ბაზრად.

განვითარებულ ქვეყნებში არ ხდება ცენტრალური ბანკების სავალუტო ბაზრის ფუნქციონირებაში ჩარევა, მაგრამ საქართველოში ეროვნული ბანკი სავალუტო ბაზრის აქტიური აგენტი.

გარკვეული პერიოდის მანძილზე, საქართველოს ეროვნული ბანკი, შიდა სავალუტო ბაზარზე უმსხვილეს მიმწოდებელს წარმოადგენდა იმის გამო, რომ ბაზარი უკიდურესად დაბალი ლიკვიდურობით ხასიათდებოდა, ბაზრის ლიკვიდურობის უზრუნველყოფა მთლიანად ეროვნულ ბანკს დააწვა, რამაც იგი ფაქტობრივად ბაზრის შემქმნელად გადააქცია. დღეს უცხოური ვალუტით საბაზრო ინტერვენციები არ წარმოებს ეროვნული ბანკის მიერ. ეს ფუნქციები გადავიდა კომერციულ ბანკებში, მაგრამ უცხოური ვალუტის ჭარბი მიწოდების შემთხვევაში მყიდველის როლში კვლავ ეროვნული ბანკი გამოდის. რაც შეეხება შიდა სავალუტო ბაზრის ლიკვიდურობას, იგი მაინც დაბალია. სწორედ ეროვნული ბანკი ინარჩუნებს ბაზრის ლიკვიდურობის გარანტიის როლს.

საქართველოში ბანკთაშორის სავალუტო ბირჟის ფუნდამენტი იქმნება ქვეყნის ეროვნული ბანკისა და კომერციული ბანკების მიერ, რომლებიც შიდა სავალუტო ბაზრის ერთ-ერთი მთავარი საეგმენტია და მოიცავს ორ კომპონენტს: საბირჟო და სადელინგო ბაზრებს.

საქართველოში სავალუტო ვაჭრობას კომერციული ბანკების გარდა ენევიან უშუალოდ FOREX ბაზარზე მოქმედი კომპანიები, რომელთა შორისაა: 1) Alpari Group, 2) Forex4you Group, 3) Fxgroup და 4) Hdforex Group. როგორც კომერციული ბანკების ისე Forex-კომპანიების მოღვაწეობა სავალუტო ვაჭრობაში პირდაპირ კავშირშია მცურავი სავალუტო კურსის ზეგავლენასთან, რადგან სწორედ მისი მეშვეობით ხორციელდება ამ ტიპის სავალუტო გარიგებები და ვაჭრობები.

აღსანიშნავია, რომ საქართველოს ეროვნულმა ბანკმა 2018 წლის 11 აპრილიდან ფორექს საქმიანობის უფლება მიანიჭა მხოლოდ და მხოლოდ ლიცენზირებულ საბროკერო კომპანიებს, თუმცა ამასთანავე შემოღებული იქნა მათი საქმიანობის მარგულირებელი ნორმები, რაც აღნიშნულ სფეროში არსებული ნეგატიური შედეგების თავიდან აცილების პრევენციისკენ გადადგმულ ნაბიჯად შეიძლება ჩაითვალოს, საუბარია “მაღალი რისკების შემცველი ფინანსური ინსტრუმენტებით ვაჭრობაში ჩართული საბროკერო კომპანიების დამატებითი რეგულირების შესახებ” მიღებულ დოკუმენტზე.

დასკვნა

საქართველოსთვის, როგორც განვითარებადი ეკონომიკის მქონე ქვეყნისთვის, მცურავი სავალუტო სისტემა, არის სავალუტო ბაზრის და ვაჭრობის განვითარების საუკეთესო საშუალება, მით უფრო, ფორექს ბაზრის არსებობის პირობებში, სადაც ვაჭრობის განხორციელება 24 საათიან რეჟიმშია შესაძლებელი, რაც მის უნიკალურობას უსვამს ხაზს, დღის განმავლობაში ვაჭრობა 5 ტრილიონ აშშ დოლარს აჭარბებს, საგულისხმოა, რომ 80%-ს მცურავი სავალუტო სისტემის მქონე ქვეყნები შეადგენს.

ფორექს ბაზრის მიმართ, განვითარებადი ქვეყნების ინტერესი მზარდია, ამაზე მეტყველებს ვაჭრობაში ჩართული ადამიანების რაოდენობა მაგ. საქართველოსა და სომხეთში მათი რიცხვი დაახლოებით 1,000-ს შეადგენს, უკრაინაში 20,000 ხოლო ლიეტუვაში 16, 000.

ყოველივე ზემოაღნიშნულმა განაპირობა ფორექსის ბრუნვის მუდმივი მატება, განსაკუთრებით მცურავი სავალუტო სისტემის მექონე ქვეყნებში, ამიტომ საბანკო სავალუტო რეჟიმი მისაღებია საქართველოსთვის და მოცემულ რეალობაში ის ყველაზე ადექვატურ გადანყვეტილებას წარმოადგენს.

ლიტერატურა:

1. საქართველოს ეროვნული ბანკი. ოფიციალური ვებგვერდი: www.nbg.gov.ge
2. ფორბს საქართველო. ოფიციალური ვებგვერდი: <http://forbes.ge/news/2938/bankebis-reitingi-wminda-mogebis-mixed-viT>
3. ფორექსის ოფიციალური ვებგვერდი: <https://www.forex.com/en/>

REFERENCES:

1. National Bank of Georgia, Official website, <https://www.nbg.gov.ge/index.php?m=2&lng=eng>
2. Forbes in Georgia, Official website, <http://forbes.ge/eng>
3. FOREX, Official website, <https://www.forex.com/en/>

CURRENCY SYSTEM AND CURRENCY TRADING OF GEORGIA

Nino Kavtaradze

PhD, Professor of GTU

maiaqavtaradze5@gmail.com

RESUME

The present empirical paper investigates the following issues: the formation of the Georgian currency system that started after the collapse of the Soviet Union, when the country has declared its independence, establishing the National Bank of Georgia and issuing the national currency.

Also is discussed financial market where foreign exchange and transaction are made. As it is known today, in the international currency market, 90% of the world market holds the FOREX (Foreign Exchange Market), which makes it the largest foreign exchange market in the world. FOREX currency traders, together with traditional forms, offers the most modern and comfortable form of trade - On-line trading. The existing currencies are largely proportional to the ongoing processes of the FOREX market.

Key words: Currency, Currency Exchange Rate, Currency Market, Interbank Exchange Market, Foreign Exchange, FOREX Market.